სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ბუკისციხის
საჯარო სკოლა

სატენდერო დოკუმენტაცია

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური სახსრებით,

სკოლის შენობის სარეაბილიტაციო

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა

თბილისი

2012 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკურიდა საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია
3. დამატებითი ინფორმაცია
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა
6. დანართი N2, რეკვიზიტები
7. დანართი N3, საბანკო გარანტიის ფორმა

შენიშვნა: შესასრულებელი სამუშაოების დეტალური აღწერილობა (დეფექტური აქტი) იხილეთ ატვირთულ ელექტრონულ მასალებში.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) სანოტარო წესით დამოწმებული პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

2.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღია რუნდაუსწრებდეს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები სდასრულების თარიღს;

2.3. ამ პუნქტის 2.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.4 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

<u>3. ტექნიკური დოკუმენტაცია</u>

3.1 სატენდერო წინადადების ფასი;

3.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3.4. მონაწილე პრეტენდენტ პირს უნდა ჰქონდეს შესრულებული ანალოგიური სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურება ან და მიღება-ჩაბარების აქტები მასზედ, რომ შემსრულებელმა მთლიანად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში. პრეტენდენტის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი საავანსო ანგარისშწორება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს **30%–ის** ოდენობით.

4.2. შესრულებულ სამუშოზე ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.3. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **5%-ის** ოდენობით დანართი #3–ის მიხედვით.

4.4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის და **საავანსო გარანტიის** მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.6 .დამატებითი ინფორმაცია:

- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლა, სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო პირი,** ციალა მახარაძე 5-77-62-49-15

4.6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, აღწერილობა და ჩამონათვალი, იხილეთ მიმაგრებული მასალა (დეფექტური აქტი):

4.7 მიწოდების პირობები და ვადები:

4.8. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება **2012 წლის 15 ივნისიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში.**

4.9. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი #2–ის მიხედვით.

ბ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ფასების ცხრილი დეფექტური აქტის მიხედვით.

გ) ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოების ვადების შესახებ (გეგმა–გრაფიკი)

დ) ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე, რომელიც არ უნდა **იყოს 5 წელზე** ნაკლები, ამასთან საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის /ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

ე) ინფორმაცია ანგარიშსწორების (საავანსო) პირობების შესახებ;

ვ) ინფორმაცია მონაწილე პრეტენდენტი პირის შესახებ შესრულებულ ანალოგიურ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურება ან და მიღება-ჩაბარების აქტები მასზედ, რომ შემსრულებელმა მთლიანად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ხელშეკრულების <u>პროექტი</u>

(კონკრეტული პირობები დაზუსტდება სატენდერო წინადადების
შინაარსის გათვალისწინებით)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

ერთის მხრივ სსიპ ,,----------, ს/კ -; ---------- ა/ა ---------- კოდი: ----------(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ_____(შემდგომში "მიმწოდებელი")შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:_____დაფინანსების ფარგლებში შემსყიდველმა გამოაცხადაN_____ელექტრონული ტენდერი კლასიფიკატორის (CPV) კოდი: _____სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: _____ ლარი (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა;

გ) სამუშაოების შესრულების ვადები;

დ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია;

თ) ნახაზები და სპეციფიკაციები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან _____

5. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

5.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

5.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

5.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

5.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

5.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

6 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4 ნებისმიერიცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვი სპირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის დასახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილებ აუნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე, სამუშაოს მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირები არიან ინსპექტირების ჯგუფის წევრები: ----------

7.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

7.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

7.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

8. სამუშაოს შესრულების პირობები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

8.2. მხარეები პერიოდულადგანიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

8.3. თუ მიმწოდებელი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში დაუსაბუთებლად, (შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად) ვერ ასრულებს სამუშაოებს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

8.4. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

9. თანმდევი მომსახურება

9.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

9.2. სამუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

10.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

10.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.

10.3. საბოლოო სამუშაოების შესრულებამდე „მიმწოდებელი'' უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა №2 და ფორმა №3) და შესაბამისი ანგარიშფაქტურა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.

10.4. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა №2 და ფორმა №3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს – ტექნიკურ ზედამხედველს;

10.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

10.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

11. გარანტია

11.1. ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში.

11.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარანტია არ ვრცელდება მექანიკურ დაზიანებებზე.

12. ანგარიშსწორება

12.1. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

12.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების (მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა №2 და ფორმა №3) და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **30** კალენდარული დღის განმავლობაში.

12.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას (მათ შორის შუალედურს) ახორციელებსეტაპობრივად, ფორმა №2 და ფორმა №3 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **30** კალენდარული დღის განმავლობაში, მას შემდეგ როდესაც გაიქვითება შესაბამის ლოტზე მიღებული საავანსო თანხის სრული მოცულობა.

12.6. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი წინასწარ ანგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულების ჯამურიღირებულების მაქსიმუმ ------%-ის ოდენობის თანხის წინასწარი გადახდით. მიმწოდებლისმიერ, ამავე თანხაზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. რომლისმოქმედების ვადაც მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულებისვადას.

12.7. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას.აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

13. ფასები

13.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ: მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

13.2.ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტიას.

14.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო.

14.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისათვის.

14.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

14.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

14.7. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

14.8. გარანტია უნდა იყოს უპირობო, კერძოდ: გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

14.9. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი აამოქმედებს გარანტიას და ამ გარანტიით გათვალისწინებული თანხები ამოიწურება, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

15.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს _____ დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

15.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

15.5. თუ კი მიმწოდებელი 10.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

15.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.7 ამ მუხლის 16.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15.8. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 7.5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწიდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გემა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

15.9. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

შემსყიდველი: / / **მიმწოდებელი:** / /

დანართი #1

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე
გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

☐ სატენდერო წინადადების ფასი;

☐ სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

☐ სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

☐ ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;

☐ შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.
თანხმობა
სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

დანართი #2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:
4. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების დღიდან არა ნაკლებ 60 კალენდარული დღე.

დანართი #3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის:_____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ_____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“_____ტენდერში წარდგენილი
(ტენდერის დასახელება)

თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)